გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 55
(11 614)

19 – 22 ივლისი, 2002 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# 50 ოლიმპიური წელიწადი: მილოცვა საქართველოს ოლიმპიელებს!

უპირველეს ყოვლისა მივესალმები ყველა ოლიმპიელს, სპორტსმენსა და სპორტის გულშემატკივარს და მივულოცავ საქართველოს სპორტსმენთა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის 50 წლისთავს.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ 1952 წელს ჰელსინკში პირველად მიიღეს მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში საქართველოდან წარგზავნილებმა და პირველმა სიხარულმაც არ დააყოვნა. ოლიპიური ჩემპიონები გახდნენ დავით ციმაკურიძე, რაფაელ ჩიმიშკიანი, მზია ჯუღელი, რომელთა მაგალითზე გაიზარდა მრავალი ბრწყინვალე სპორტსმენი, ისეთი, როგორებიც არიან ჩვენი სასიქადულო მამულიშვილები: ვიქტორ სანეევი, ლევან თედიაშვილი, გივი კარტოზია და სხვები.

მაქვს პატივი, გულწრფელად მივულოცო ყველა ოლიმპიელს ეს საიუბილეო თარიღი და ვუსურვო მათ ხანგრძლივი, ჯანმრთელი და ბედნიერი ცხოვრება აყვავებულ საქართველოში.

19 ივლისი ჩვენი სპორტსმენებისათვის მეორე და განსაკუთრებული დღესასწაულია, 1996 წლის 19 ივლისს ატლანტაში ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში დამოუკიდებელი ქვეყნის სახელით ქართველ სპორტსმეთა დებიუტი შედგა. ვულოცავ ყველას!

გვჯერა და გვწამს, რომ ჩვენი სპორტსმენები კვლავაც მრავალჯერ გაახარებენ გულშემატკივარს მომავალ ოლიმპიადებზე და სასახელოდ გააგრძელებენ თაობების ტრადიციებს, კიდევ ხშირად აჟღერდება საქართველოს ჰიმნი და აიწევა საქართველოს ეროვნული დროშა.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

**ირაკლი მეძმარიაშვილი,**
საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე



*ჰელსინკი, 1952 წ. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი დავით ციმაკურიძე ამარცხებს მეტოქეს...*



*ჰელსინკი, 1952 წ. პირველი ოლიმპიური ქართველი ჩემპიონი ქალი მზია ჯუღელი (ტანვარჯიში)*



*ჰელსინკი, 1952 წ. რაფაელ ჩიმიშკიანი. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ძალოსნობაში საქართველოდან*

„ლელოს“ რედაქცია ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის 50 წლისთავს ულოცავს ყველა ოლიმპიურ ჩემპიონს, პრიზიორს, მონაწილეს, მათ მწვრთნელებს, სპორტის მუშაკებს, გულშემატკივრებს, „ლელოს“ სტაჟიან მკითხველებს.

# საქართველოს სპორტსმენები საერთაშორისო სარბიელზე

## ტურნირის სენსაცია „ქართული ხმლით“



[illegible]ყნის მოფარიკა[illegible] თაობის წარმომადგენლებს შორის სხვადასხვა შეჯიბრებებში წარმატებით ასპარეზობს ბათუმელი ირაკლი ზამბახიძე. ხმლით ფარიკაობაში იგი ამჟამად საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ირანში გამართულ „ა“ კატეგორიის ტურნირში მონაწილეობდა. ერთადერთი ამ ტურნირზე სწორედ ხმლით ასპარეზობა იყო, რომელიც გრან-პრის პროგრამით ჩატარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მონაწილეებს, დაკავებული ადგილების შესაბამისად, 1,5-ჯერ მეტი ქულა ერიცხებოდათ. ზამბახიძემ წარმატებით გაიარა საკვალიფიკაციო ეტაპი და 16 უძლიერეს შორის ტურნირში მონაწილეობის გაგრძელების უფლება მოიპოვა. სენსაცია კი სწორედ აქ მოხდა. ქართველ მოფარიკავეს დაუპირისპირდა სიდნეიში ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი გერმანიიდან, წარმოშობით ტაილანდელი — უილიამ კოტნი. უაღრესად დაძაბული პაექრობა ირაკლი ზამბახიძემ მოიგო მინიმალური სხვაობით — 15:14 და მსოფლიო რეიტინგში მეხუთე ადგილზე მყოფი კოტნი ასპარეზობიდან გამოთიშა. აღსანიშნავია, რომ ამ მოფარიკავეს ტურნირზე მამა და ძმა ახლდნენ, რომლებიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საბოლოოდ გამარჯვებას ამ ტურნირში მათი ოჯახის წევრი მიაღწევდა. სამწუხაროდ, ამ პრინციპული პაექრობის შემდეგ ჩვენმა მოფარიკავემ ვეღარ შეძლო ძალების მობილიზება და მორიგ ორთაბრძოლაში დამარცხდა, რის გამოც საბოლოოდ მეხუთე ადგილზე დარჩა.

ტურნირში ჩვენგან კიდევ ერთი სპორტსმენი — ქუთაისელი რაპირისტი თეიმურაზ გორდაძე ასპარეზობდა, რომელსაც გამოცდილება არ ეყო გამკლავებოდა რჩეულ მოფარიკავეებს. უსახსრობის გამო ტურნირში მხოლოდ ეს ორი ახალგაზრდა მონაწილეობდა საქართველოდან — თანაც საკუთარი ხარჯით. ახლა წინაა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც ლისაბონში ჩატარდება 17-23 აგვისტოს. იქვე, 17 აგვისტოს გაიმართ ება საერთაშორისო ფედერაციის საგანგებო კონგრესი, რომელიც წერტილს დაუსვამს სადავო საკითხს მომავალ ოლიმპიურ თამაშებში ფარიკაობის პროგრამასთან დაკავშირებით.

მსოფლიო ჩემპიონატისთვის ჩვენი მოფარიკავეების დაფინანსება ჯერ ბურუსითაა მოცული. ნათლად ცნობილია ერთი რამ, ჩემპიონატის ორგანიზატორის ხარჯებით ლისაბონში მსაჯთა კოლეგიის შემადგენლობაში მიწვეულია მორის სახვაძე, მსაჯად — დავით სახვაძე.

ც. ბაქრაძე

## ჩვენი ბეისბოლისტები მესამე ადგილს დასჯერდნენ



როგორც ვიუწყებოდით, 1989 წელს დაბადებულმა ქართველმა ჭაბუკებმა პოლონეთში თანატოლ ბეისბოლისტთა ევროპის პირველობაში დაამარცხეს ავსტრიის, ბულგარეთის, გერმანიის, იორდანიის, რუმინეთის, შოტლანდიის, შვედეთისა და პოლონეთის გუნდები და პირველობის დასაკუთრების კარგი შანსი გაუჩნდათ, მაგრამ მთავარი მეტოქის — რუსეთის ნაკრების დამარცხება ვერ შეძლეს და საბოლოოდ მესამე საპრიზო ადგილს დასჯერდნენ

დავძენთ, რომ ჩვენი გუნდი ძირითადად დაკომპლექტებული იყო მურთაზ მნათობიშვილის საავტორო სკოლა „რაინდის“ აღსაზრდელებით (მწვრთნელი ნუგზარ კაპანაძე).

## მხოლოდ ერთი მოკრივე შემორჩა



როგორც „ლელოს“ წინა ნომერში ვწერდით, საქართველოს მოკრივეთა ეროვნული ნაკრების 7 წევრი პერმში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატში მეოთხედფინალში იყო გასული. სამწუხაროდ, ეს ეტაპი 7-დან 6 ჩვენი მოკრივისთვის გადაულახავი აღმოჩნდა. წინსვლის შანსი შეინარჩუნა მხოლოდ კონსტანტინე კუპატაძემ (57 კგ), რომელიც ნახევარფინალში გავიდა. დღეს, 19 ივლისს მისი მეტოქე იქნება რუსეთელი მოკრივე. გამარჯვების შემთხვევაში კუპატაძეს ოქროს მედლის მოპოვების შესაძლებლობა უჩნდება. მინიმუმ ბრინჯაოს მედალი კუპატაძეს უკვე განაღდებული აქვს.

## ჩვენი ხელბურთი ევროტურნირებზე...



ვენაში, ევროპის ხელბურთის ფედერაციის შტაბბინაში ჩატარდა კონტინენტის ჩემპიონთა ლიგისა და ფედერაციის თასის გათამაშების პირველი ეტაპის კენჭისყრა.

საქართველოს ჩემპიონი „სტუ-შევარდენი“ ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებს. მისი პირველი მეტოქე იქნება სლოვაკეთის ჩემპიონი, ქ. ბისტრიცას „პოვაჟსკა“. ფედერაციის თასზე მოასპარეზე „თბილისს“ მეტოქეობას ოდესის „პორტოვიკ იუჟნი“ გაუწევს.

ორივე ქართული გუნდი პირველ შეხვედრებს 7 სექტემბერს სტუმრად გამართავს, 14-ში კი თბილისში უმასპინძლებს მეტოქეებს. აქვე ვიტყვით, რომ თასების მფლობელთა თასის და „ჩელენჯ-კაპის“ გათამაშებაში ჩაებმებიან „გლდანი“, „საუ-მამული“ და „ცერო-ბათუმი“. მათი მეტოქეების ვინაობას აგვისტოში შევიტყობთ.



## ვლადიმერ ბარქაია იუბილარია!

## ფეტისოვს არ სურს კონფლიქტი ტიაგაჩევთან

### როგორც ჩანს, რუსეთის სპორტულ სამყაროში საღმა აზრმა გაიღვიძა

**„ლელო“ წერდა იმ დაპირისპირების შესახებ, რომელიც რუსეთის სპორტკომიტეტსა და ამ ქვეყნის ოლიმპიურ კომიტეტს შორის წარმოიქმნა გავლენის სფეროების გადანაწილებისათვის. ამასთან დაკავშირებით, სპორტსახკომის ახალმა თავმჯდომარემ პუტინს საგანგებო მოთხოვნების ბარათიც კი აახლა.**

სოკ-ს, ქარტიიდან გამომდინარე, თავისი უფლებები არ გამოუყენებია და საკითხების დარეგულირებაში ამ კონფლიქტთან დაკავშირებით არ ჩარეულა, ალბათ საქმე აქამდე აღარც მივა, რადგან... ფეტისოვი მოლბა და საღ აზრს უწევს ანგარიშს. აი, მისი სიტყვები სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელებთან შეხვედრისას. „ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. სპორტსახკომის ამოცანაა განავითაროს მასობრივი და უმაღლესი მიღწევების სპორტი, ოლიმპიური კომიტეტი კი ხელს უწყობს ამ პროცესს.“ ფეტისოვმა იქვე დასძინა: „არანაირი პირადი კონფლიქტი რუსეთის ეოკ-ის პრეზიდენტ ლეონიდ ტიაგაჩევთან არ მაქვს, ჩვენს შორის ნორმალური საქმიანი ურთიერთობაა.“

ამავე შეხვედრაზე გამოვიდა ტიაგაჩევიც, რომელმაც თავის მხრივ აღნიშნა, რომ ახლა მთავარია ისეთი ერთიანი სისტემის შემუშავება, რომელიც სპორტსახკომს, ოლიმპიურ კომიტეტს და ფედერაციებს დარაზმავს ერთიანი ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად. ფეტისოვი გამოვიდა ახალი ინიციატივით. ამჯერად მან წამოაყენა წინადადება მწვრთნელთა მაღალი ანაზღაურების პრაქტიკის დანერგვასთან დაკავშირებით. მისი აზრით, ასეთი ღონისძიების გატარება დააჩქარებს უცხოეთში მომუშავე სპეციალისტების დაბრუნებას სამშობლოში.

# ნუგზარ ასათიანი 65 წლისა გახდებოდა



**თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც, სპორტში დროდადრო გამოჩნდებიან ხოლმე ათლეტები, რომლებიც ფიზიკური და სულიერი სრულქმნით მარადიულ კვალს სტოვებენ და პიროვნული ღირსებებით ზეკაცად გვევლინებიან. სწორედ ასეთი პიროვნება გახლდათ ნუგზარ ასათიანი — სწორუპოვარი სპორტსმენი და დიდბუნოვნებით გამორჩეული, სიყვარულით გასხივოსნებული ადამიანი. თავს ბედნიერად თვლის ყველა, ვისაც მასთან ჰქონია ურთიერთობა. მუდამ სიკეთის ქმნისთვის იყო შემართული, ბევრისთვის წარმოუდგენლად, შეეძლო სხვათა ნაკლის მიტევება, ნათელი ცხოვრებით იცხოვრა, სპორტს შეწირული ახალგაზრდობის საზღაურად ოლიმპზე შედგა ფეხი, — ქართველ მუშკეტერთაგან პირველმა მოუტანა სათაყვანებელ სამშობლოს ოლიმპიური ოქროს მედალი.**

**ცხოვრების შუაგზაზე უწია სიკვდილმა. მაგრამ, როგორც ქართველები ვიტყვით, ეს იყო მხოლოდ გარდაცვალება, რომლის შემდეგ სიცოცხლე გრძელდება. ამას კი ნუგზარ ასათიანის უკვდავება ჰქვია. მისი გენი შვილებსა და შვილიშვილებში გადავიდა, ხსოვნა — მთელ ერში.**

**ყველაზე უკეთ მეგობრებმა იცოდნენ, თუ ვინ იყო ნუგზარ ასათიანი. მეგობრები კი უამრავი ჰყავდა — სკოლიდან თუ სტუდენტობიდან, სპორტიდან თუ უბრალოდ, ცხოვრებიდან. სწორედ ასეთმა ხალხმა, ამ დღეებში კიდევ ერთხელ, ერთად მიაგეს პატივი ნუგზარ ასათიანის ნათელ ხსოვნას მისი დაბადებიდან 65 წლისთავთან დაკავშირებით.**

**კარგად თქვა ნუგზარ ასათიანის თანაკლასელმა, ცნობილმა დასტაქარმა ირაკლი მეგრელაძემ: „დარდის გასაქარვებლად რჩება ფიქრი იმაზე, რომ ადამიანი რამდენსაც იცოცხლებ ამ ქვეყნად, იცოცხლო ისე, როგორც იცოცხლა ნუგზარ ასათიანმა და დატოვო ის სახელი, როგორიც მან დატოვა...“**



## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი



**ჩემპიონთა ლიგა**

**17 ივლისი, ქუთაისი. სტადიონი „ტორპედო“. 15 ათასი მაყურებელი.**

**„ტორპედო“ (საქართველო) – „B36 ტორსჰავენი“ (ფარერები)**

***„ტორპედო“:*** სტურუა, იონანიძე, მახვილაძე, ქემოკლიძე, კვეტენაძე, ბაბუნაშვილი (დ. ჯანაშია 65), ქუთათელაძე (პოროშინი 53), ლ. ჭელიძე, გუჩუა (გამეზარდაშვილი 46), ასათიანი, აკოფიანი.

***„ტორსჰავენი“:*** ტორგარდი, დანიელსენი, ფროლესკუ, კლემენსენი (სკორინი 89), აბორგი, პეტერსენი, ელაკუნი (პოულსენი 87), ზაქარიასენი, მატრასი (იაკობსენი 68), იონსონი, მორტარსენი.

*გოლები:* 1-0 ასათიანი (15), 2-0 იონანიძე (34), 3-0 ასათიანი (47), 3-1 ელაკუნი (55), 4-1 კვეტენაძე (68), 5-1 პოროშინი (74), 5-2 მორტარსენი (76).

*გააფრთხილეს:* გუჩუა, კლემენსენი.

მსაჯი: ქ. რიჩარდსი (უელსი).

# „ტორპედოს“ პრაღული შეკვეთა

რა დასამალია, ევროპის თასებზე ხუთწლიანი ასპარეზობის განმავლობაში (აქედან მესამედ ჩემპიონთა ლიგაში) პირველ ეტაპებზე ქუთაისელებს, თითქმის, ყოველთვის უმართლებდათ. ტრადიცია ამჯერადაც გაგრძელდა. ფარერის კუნძულების ჩემპიონი არ არის ის გუნდი, ჩვენს პირველ გუნდს ორრაუნდიანი პაექრობა მოუგოს. მაგრამ თვალს ნუ დავხუჭავთ და პირდაპირ ვთქვათ, ასეთი თამაშით, განსაკუთრებით დაცვაში და განსაკუთრებით მეორე ტაიმში, მომდევნო მეტოქესთან და, საერთოდ, ლიგაში, არაფერი გვესაქმება. „ტორპედო“ რომ მაღლა დგას „ტორსჰავენზე“, ნათლად ჩანდა, თუმცა დაცვაში ასეთ უმარტივეს შეცდომებს მეორე ეტაპზე ჩვენი მეტოქე ანუ პრაღის „სპარტა“ ნამდვილად არ გვაპატიებს. ვიმედოვნებთ ის ორი გოლი, რომელიც ქუთაისელებმა მეორე ტაიმში გაუშვეს და რამდენიმე სახიფათო ეპიზოდი სტუმრუას კართან, მხოლოდ ზედმეტი თვითდაჯერებულობის შედეგია. „ტორპედოს“ აკლდა ხვადაგიანი დისკვალიფიკაციის გამო და დიდავა, რომელსაც პრობლემები აქვს ტრანსფერთან დაკავშირებით. შემდგომ ეტაპზე მათი გამოჩენა დაცვას უდავოდ გააძლიერებს.

ახლა კი უფრო სასიამოვნო თემაზეც ვილაპარაკოთ. მატჩი დაიწყო თუ არა, მასპინძელმა სტუმარს უმალ შეუტია და საკუთარ კარს მიაჯაჭვა. პირველ ტაიმში ფარერელთა კართან ხიფათი წუთითაც არ განელებულა. ტორპედოელებს მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ, ანგარიშს ადრევე გახსნიდნენ, მაგრამ რაც შეძლეს, უდავო უპირატესობის დასამტკიცებლად ესეც საკმარისია. ბენეფისი მოიწყო ასათიანმა. თავად ხომ პირველი გოლი შეაგდო, მერე ჩინებული პასით იონანიძეს გაატანინა, მეორე ტაიმი ორი წუთის დაწყებული იქნებოდა, როდესაც ინდივიდუალური ოსტატობით ისახელა თავი ასათიანმა და... „ტორპედო“ გაჩერდა. თამაშის ტემპი დაეცა და სტუმრებს მეტოქის კარისკენ გახედვის საშუალება მიეცა. მათ მიერ გატანილ ორ გოლზე ზევით გითხარით, სტურუამაც რამდენჯერმე კარგად ითამაშა. მერე ჯერ გამოცდილმა კვეტენაძემ ფარერელთა „ცხრიანში“ მოარტყა ზუსტად, მერე ჯანაშიას ფლანგურ სოლოს და ზუსტ პასს პოროშინმა ეფექტური თავური მიაყოლა და „ტორპედომ“ იმ ანგარიშით მოიგო, რითაც შეუძლია თავისუფლად იგრძნოს თავი საპასუხო შეხვედრაში.

**ჩემპიონთა ლიგა 2002-2003**

**პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი**

**სკონტო (ლატვია) – ბარი თაუნი (უელსი) 5-0**
**ტამპერე (ფინეთი) – პიუნიკი (სომხეთი) – 0-4**
**კაუნასი (ლიტვა) – დინამო (ალბანეთი) 2-3**
**ჰიბერნიანსი (მალტა) – შელბურნი (ირლანდია) 2-2**
**შერიფი (მოლდოვა) – ჟენისი (ყაზახეთი) 2-1**
**დუდელანჟი (ლუქსემბურგი) – ვარდარი (მაკედონია) 1-1**
**ჟელეზნიჩარი (ბოსნია) – აკრანესი (ისლანდია) 3-0**
**ფლორა (ესტონეთი) – აპოელი (კვიპროსი) 0-0**
**პორტდაუნი (ჩრდ. ირლანდია) – ბელშინა (ბელარუსი) 0-0**

## თემურ მაღრაძე — ვეტერანი ფეხბურთელი



**გულდასაწყვეტი ამბავი შევიტყვეთ ჭიათურიდან, 52 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა ქართული ფეხბურთის ვეტერანი თემურ მაღრაძე, ჩინებული პიროვნება, პატრიოტი თავისი კუთხისა და ქვეყნისა, შესანიშნავი მეგობარი და მეოჯახე.**

**ფეხბურთის ანბანს მშობლიურ ჭიათურაში ეზიარა. შემდეგ იყო თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლა და 60-იანი წლების ბოლოს საოცნებო თბილისის „დინამო“. თემური ღირსეულად ირჯებოდა იმჟამინდელი ქართული ფეხბურთის კორიფეების გვერდით. „დინამოში“ გატარებული თითქმის ორი სეზონის შემდეგ, დაბრძენებული უდიდესი გამოცდილებით, საფეხბურთო კარიერას გორის „დილაში“ აგრძელებს, 70-იანი წლების შუაში მშობლიურ სანახებს უბრუნდება და სპორტული კარიერის ბოლომდე ჭიათურის „მაღაროელის“ ღირსებას იცავს. სწორედ ამ პერიოდში, თემურის გოლის ალღოს წყალობით, „მაღაროელი“ პირველად ხდება საქართველოს ჩემპიონი (1975) და ორჯერ ეუფლება საქართველოს თასს (1978-79 წლები) და გადადის საკავშირო პირველობის „ა“ კლასის მეორე ჯგუფში. საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ (1979 წ) სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა „ჭიათურმანგანუმში“. სამშაბათს ქართული საფეხბურთო სამყარო ბოლო გზაზე გააცილებს თემურ მაღრაძეს.**

ვეტერანი ფეხბურთელები

# ნოდარ ახალკაცის ხსოვნის პატივსაცემად

სამეგრელოს რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივით და ძალისხმევით, 1998 წლიდან ტრადიციულად ტარდება საყოველთაოდ აღიარებული პიროვნების, ქართული ფეხბურთის ყველა დროის დიდი მწვრთნელის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პირველი პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის სახელობის თასის რეგიონალური გათამაშება.

2001-2002 წლების გათამაშება უკვე ჩატარდა, როგორც სამეგრელოს რეგიონალური ღია გათამაშება. გათამაშებები უნდა ჩატარებულიყო აგრეთვე აჭარის, გურიის, იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონებში. აღნიშნულ რეგიონებში პირველ-მეოთხე ადგილზე გასული გუნდები დასკვნით ფინალურ ეტაპზე იასპარეზებდნენ. გათამაშებას გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით მოეკიდა იმერეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაცია (პრეზიდენტი გურამ ფილიპაშვილი, ბავშვთა კომიტეტის თავმჯდომარე ვალერი მანაგაძე). აჭარისა და გურიის რეგიონალურმა ფეხბურთის ფედერაციებმა კი თავი აარიდეს გათამაშების ჩატარებას.

იმერეთის რეგიონალურ გათამაშებაში მონაწილეობდა 24, სამეგრელოში – 12 გუნდი. სამეგრელოს რეგიონში გათამაშება ჩატარდა წრიული სისტემით ორ წრედ.

**სამეგრელოს რეგიონში გათამაშების საბოლოო ცხრილი**

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ფაზისი ფოთი | 16 | 4 | 2 | 60-8 | 52 |
| კოლხეთი ფოთი | 14 | 3 | 5 | 46-18 | 45 |
| მაგუ ნარაზენი | 14 | 3 | 5 | 46-25 | 45 |
| ოდიში 2001 ზუგდ. | 12 | 6 | 4 | 47-27 | 42 |
| ოლიმპია ზუგდ. | 11 | 6 | 5 | 52-13 | 39 |
| განათლება სენაკი | 10 | 2 | 10 | 26-33 | 32 |
| ჯვარი | 8 | 7 | 7 | 50-40 | 31 |
| დინამო ზუგდიდი | 9 | 3 | 10 | 43-49 | 30 |
| წალენჯიხა | 7 | 5 | 10 | 32-31 | 26 |
| კოლხეთი2 ფოთი | 4 | 3 | 15 | 22-37 | 15 |
| იმედი ლესიჭინე | 3 | 2 | 17 | 26-68 | 11 |
| განათლება წალენ. | 2 | 2 | 18 | 13-77 | 8 |

„ფაზისის“, „კოლხეთისა“ და „მაგუს“ გუნდები დაჯილდოვდნენ სამეგრელოს რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის სამახსოვრო თასებით. მოთამაშეები და მწვრთნელები – დიპლომებით.

2001-2002 წლების ღია გათამაშების დასკვნით ეტაპზე მონაწილეობდა იმერეთის რეგიონიდან ქუთაისის

*(იხ. მე-5 გვ.)*

## „დინამომ“ „ფრაიბურგს“ გაუგანა

***თბილისელები გერმანულ საწვრთნელ შეკრებას და საკონტროლო მატჩების წაუგებელ სერიას წარმატებით აგრძელებენ.*** *მორიგ შეხვედრაში „დინამოს“ ჩვენთვის კარგად ნაცნობი „ფრაიბურგი“ ემსხვერპლა. ჩვენებურებმა კარგად ითამაშეს და გერმანელთა მწვრთნელის ფოლკერ ფინკესა და იქ მყოფი საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ალექსანდრე ჩივაძის მაღალი შეფასებაც დაიმსახურეს. გამარჯვების გოლი მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ დარასელიამ გაიტანა 46-ე წუთზე. გერმანელთა რიგებში ქართველთაგან ცქიტიშვილმა, კობიაშვილმა და შეცვლაზე შემოსულმა გიორგი კიკნაძემ ითამაშეს. „დინამოს“ შემადგენლობა კი ასეთი იყო: ზოიძე (გვარამაძე 46), ვაშაკიძე, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, სახვაძე (კვირკველია 46), ბურდული, ანჩაბაძე (სამხარაძე 62), კარლოსი (კანდელაკი 62), გოგობერიშვილი, მიქაძე (ბობოხიძე 46), დარასელია (მაზიაშვილი 75).*



*ვიტალი დარასელია*

# საქართველოს 2002-2003 წ.წ. XIV ჩემპიონატის I ლიგის კალენდარი

**I წრე**

I ტური
***30 აგვისტო, პარასკევი***
ცხინვალი — მცხეთა
დინამო2 თბილისი — ლოკომოტივი2 თბილისი
***31 აგვისტო, შაბათი***
საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები — ივერია ხაშური
სამგურალი წყალტუბო — მერცხალი ოზურგეთი
ლაზიკა ზუგდიდი — ქობულეთი
თსუ თბილისი — კოლხეთი ხობი
გურია ლანჩხუთი — ისვენებს

II ტური
***5 სექტემბერი, ხუთშაბათი***
მცხეთა — თსუ
ქობულეთი — ცხინვალი
ლოკომოტივი2 — სამგურალი
ივერია — დინამო2
***6 სექტემბერი, პარასკევი***
მერცხალი — ლაზიკა
გურია — ჭაბუკთა ნაკრები
*კოლხეთი — ისვენებს*

III ტური
***12 სექტემბერი, ხუთშაბათი***
სამგურალი — ივერია
ცხინვალი — მერცხალი
თსუ — ქობულეთი
კოლხეთი — მცხეთა
***13 სექტემბერი, პარასკევი***
დინამო2 — გურია
ლაზიკა — ლოკომოტივი2
*ჭაბუკთა ნაკრები — ისვენებს*

IV ტური
***20 სექტემბერი, პარასკევი***
ქობულეთი — კოლხეთი
ივერია — ლაზიკა
გურია — სამგურალი
***21 სექტემბერი, შაბათი***
მერცხალი — თსუ
ლოკომოტივი2 — ცხინვალი
ჭაბუკთა ნაკრები — დინამო2
*მცხეთა — ისვენებს*

V ტური
***27 სექტემბერი, პარასკევი***
თსუ — ლოკომოტივი2
***28 სექტემბერი, შაბათი***
სამგურალი — ჭაბუკთა ნაკრები
კოლხეთი — მერცხალი
***29 სექტემბერი, კვირა***
ლაზიკა — გურია
ცხინვალი — ივერია
მცხეთა — ქობულეთი
*დინამო2 — ისვენებს*

VI ტური
***4 ოქტომბერი, პარასკევი***
მერცხალი — მცხეთა
გურია — ცხინვალი
***5 ოქტომბერი, შაბათი***
ივერია — თსუ
ჭაბუკთა ნაკრები — ლაზიკა
ლოკომოტივი2 — კოლხეთი
დინამო2 — სამგურალი
*ქობულეთი — ისვენებს*

VII ტური
***13 ოქტომბერი, კვირა***
ცხინვალი — ჭაბუკთა ნაკრები
თსუ — გურია
კოლხეთი — ივერია
ქობულეთი — მერცხალი
***14 ოქტომბერი, ორშაბათი***
ლაზიკა — დინამო2
მცხეთა — ლოკომოტივი-2
*სამგურალი — ისვენებს*

VIII ტური
***18 ოქტომბერი, პარასკევი***
ჭაბუკთა ნაკრები — თსუ
დინამო2 — ცხინვალი
ლოკომოტივი2 — ქობულეთი
***19 ოქტომბერი, შაბათი***
ივერია — მცხეთა
გურია — კოლხეთი
სამგურალი — ლაზიკა
*მერცხალი — ისვენებს*

IX ტური
***27 ოქტომბერი, კვირა***
ქობულეთი — ივერია
***28 ოქტომბერი, ორშაბათი***
ცხინვალი — სამგურალი
მცხეთა — გურია
***29 ოქტომბერი, სამშაბათი***
თსუ — დინამო2
კოლხეთი — ჭაბუკთა ნაკრები
მერცხალი — ლოკომოტივი2
*ლაზიკა — ისვენებს*

X ტური
***3 ნოემბერი, კვირა***
ივერია — მერცხალი
გურია — ქობულეთი
დინამო 2 — კოლხეთი
სამგურალი — თსუ
ლაზიკა — ცხინვალი
***4 ნოემბერი, ორშაბათი***
ჭაბუკთა ნაკრები — მცხეთა
*ლოკომოტივი2 — ისვენებს*

XI ტური
***9 ნოემბერი, შაბათი***
თსუ — ლაზიკა
***10 ნოემბერი, კვირა***
მერცხალი — გურია
კოლხეთი — სამგურალი
***11 ნოემბერი, ორშაბათი***
მცხეთა — დინამო2
ქობულეთი — ჭაბუკთა ნაკრები
ლოკომოტივი2 — ივერია
*ცხინვალი — ისვენებს*

XII ტური
***17 ნოემბერი, კვირა***
სამგურალი — მცხეთა
ლაზიკა — კოლხეთი
ცხინვალი — თსუ
***18 ნოემბერი, ორშაბათი***
გურია — ლოკომოტივი2
ჭაბუკთა ნაკრები — მერცხალი
დინამო2 — ქობულეთი
*ივერია — ისვენებს*

XIII ტური
***24 ნოემბერი, კვირა***
კოლხეთი — ცხინვალი
მცხეთა — ლაზიკა
ქობულეთი — სამგურალი
ივერია — გურია
მერცხალი — დინამო
ლოკომოტივი2 — ჭაბუკთა ნაკრები
*თსუ — ისვენებს*

# ქართული ფეხბურთის დიდოსტატები



*ასეთ „პლაჟს“ უწყობდა ვლადიმერ ბარქაია მეტოქეებს საფეხბურთო მინდორზე*



ვლადიმერ (სიომა) ბარქაიამ თბილისის „დინამოში“ პირველი მატჩი 1957 წლის გაზაფხულზე ითამაშა. მაშინ მე ათი წლის ვიყავი და „ნორჩ დინამოელში“ ფეხბურთის თამაშისას (1958-1963 წლებში), თბილისის „დინამოს“ მატჩებზე, საბჭოთა კავშირის პირველობაზე თუ საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრებში მე და ჩემს თანატოლებს ხშირად გვიწევდა, ეგრეთ წოდებული „აუტჩიკობა“. სარბენი ბილიკებიდან ვუცქერდით ტყავის ბურთის დიდოსტატების — ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძის, მიხეილ მესხის, ვლადიმერ ბარქაიას, სლავა მეტრეველის, ვლადიმერ მარღანიას, ზაურ კალოევის, სერგო კოტრიკაძის, ბორის და ჟორა სიჭინავების, შოთა იამანიძის, ჯემალ ზეინკლიშვილის, ედუარდ დალაქიანის, ავთანდილ ჰკუასელის, ვოვა ელოშვილის, გივი ჩოხელის და სხვა ვარსკვლავების საფეხბურთო სპექტაკლებს.

სიომა ბარქაია (დაიბადა 1937 წ. 29.07, ქ. გაგრაში) იყო თბილისის „დინამოს“ ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელი (მარჯვენა შუამარბი და ცენტრფორვარდი). 1957-67 წლებში „დინამოს“ მატჩებზე დასწრება ყველასთვის დიდი დღესასწაული იყო. ეს ის წლებია, როდესაც თბილისის „დინამოში“ გამოდიოდა ქართული ფეხბურთის აღიარებული დიდოსტატი და მშვენება სიომა ბარქაია, რომლის პირველი მწვრთნელი გახლდათ ღირსეული მამულიშვილი და შესანიშნავი ადამიანი, ბატონი რეზო შარტავა.

კარგად მახსოვს, 1962 წლის 2 სექტემბერს, დილით თბილისში, მოსკოველ თანაკლუბელებთან მატჩის დაწყებამდე ოთხი საათით ადრე კოკისპირული წვიმა წამოვიდა. „დინამოს“ სტადიონის წყლის დატბორილ მოედანს ვერტმფრენებით აშრობდნენ. კვირა დღე იყო და თამაში 3 საათზე იყო დანიშნული. მზემაც გამოანათა და დაცხა. მინდორიც სრულ წესრიგში იყო. შეხვედრა საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. თბილისელები აგებდნენ 0-1 და შეძლეს თამაშის ფრედ დამთავრება თავიანთ უხერხულ მეტოქესთან. სიომა ბარქაიამ შორი მანძილიდან უძლიერესი დარტყმით ლამაზი გოლი გაუტანა ლეგენდარულ ლევ იაშინს.

სტაჟიან გულშემატკივრებს კარგად გვახსოვს 1959 წლის 25 ივლისს მოსკოვის „სპარტაკთან“ გამართული დაუვიწყარი შეხვედრა „ლუჟნიკებში“, სადაც ჩვენმა დინამოელებმა თითქმის წაგებული მატჩი მოიგეს 5:4 ვლადიმერ ბარქაიას ბრწყინვალე თამაშის წყალობით. თავიდან კი 1-3 ვაგებდით. სიომამ სამი ბურთი გაიტანა. თითო-თითო ბასამ და თენგიზ მელაშვილმა. ვლადიმერ ბარქაია მატჩის გმირად აღიარეს.

*„მინდორზე მისთვის როდი ვარ*
*ვკრეფდე ვარდსა და იასა,*
*მოსკოვის გმირი მოვდივარ,*
*დამიხვდით ბარქაიასა.*
*ბურთს გავიგორებ, დავახვევ,*
*ადგილს შევურჩევ რბილოსა,*
*ისეთს დავარტყამ,*
*მეკარე მიწვეს და მიიძინოსა.“*

(ნ. დუმბაძე, მ. ქარჩავა, ზ. ბოლქვაძე. „დინამო“ თბილისი 1960 წ.). რომელი ერთი გავიხსენოთ. 1960 წლის 31 ოქტომბერი. მოსკოვი. დრამატული მატჩი 10 გრადუს ყინვაში, სსრკ-ს თასის გათამაშების ფინალში მოსკოვის „ტორპედოსთან“ (3-4). შეუდარებელი სიომა, ფინალი ჩვენ უნდა მოგვეგო და თასი თბილისში ჩამოგვეტანა, მაგრამ... კარგად გვახსოვს კიეველი მსაჯის — ა. ცაპოვეცკის „საგმირო საქმეები“.

1965 წლის 27 ივნისს 28 წლის ვლადიმერ ბარქაიამ პირველად ჩაიცვა საბჭოთა კავშირის ნაკრების მაისური და მისი დებიუტი წარმატებული გამოდგა. სსრკ ნაკრებმა 6:0 გაანადგურა დანიის ეროვნული გუნდი. ეს იყო მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. სიომამ ორი გოლი გაიტანა, თითო ბურთი კი გაიტანეს მიხეილ მესხმა, სლავა მეტრეველმა, ვალერი ვორონინმა და გალიმზიან ჰუსაინოვმა.

იმავე წელს, 4 ივლისს სსრკ ნაკრები „ლუჟნიკებში“ დამარცხდა მსოფლიოს ჩემპიონებთან, ბრაზილიელებთან 0-3. ამ მატჩში, თამაშის 68-ე წუთზე სიომა ბარქაია ანდრეი ბიბამ შეცვალა. იმ ცნობილ ფოტოზე, რომელზეც ფეხბურთის მეფე პელე ქართველ ფეხბურთელებთან — მიხეილ მესხთან, სლავა მეტრეველთან, გიორგი სიჭინავასთან და ანზორ კავაზაშვილთან არის გადაღებული, სამწუხაროდ, არ არის ვლადიმერ ბარქაია, რადგან იგი უკვე გასული იყო მოედნიდან.

1964 წლის 18 ნოემბერს, ტაშკენტში, როცა ჩვენმა დინამოელებმა დამატებით მატჩში 4-1 დაამარცხეს მოსკოვის „ტორპედო“, სხვა ფეხბურთელებთან ერთად, სიომაც ამ მატჩის ერთ-ერთ გმირად აღიარეს. ეს იყო ყველაზე ბედნიერი დღე ვლადიმერ ბარქაიას ცხოვრებაში, მის საფეხბურთო კარიერაში. „დინამოს“ მესამე თაობამ სსრკ-ს ჩემპიონობა მოიპოვა და უდიდესი სიხარული და ბედნიერება მოუტანა საქართველოს. სიომა ბარქაია დიდი ფეხბურთიდან 1967 წლის 23 მაისს საზეიმოდ გააცილეს. მაშინ ის 30 წლისაც არ იყო. მან 227 მატჩი ჩაატარა თბილისის „დინამოში“ და სსრკ ჩემპიონატებში 68 გოლი გაიტანა მეტოქეთა კარში. სსრკ ნაკრებში ჩაატარა 2 მატჩი, (გაიტანა ორი გოლი) 1959 და 62 წლებში იყო ბრინჯაოს პრიზიორი, 1964 წელს კი ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა.

1964 წელს დასახელებული იყო 33 საუკეთესო ფეხბურთელთა შორის, მეორე ნომრად. 53 საერთაშორისო მატჩში მიიღო მონაწილეობა და გაიტანა 31 გოლი.

სიომა ბარქაია იყო თბილისელთა ყველა შემტევი ოპერაციის სულისჩამდგმელი, დირიჟორი, „ეშმად“ წოდებული, ძალზე ტექნიკური და ბურთის ჯადოსნურად ფლობის დიდოსტატი. მან ძალზე კარგად იცოდა, რა უნდა ეკეთებინა მოედანზე, ამიტომ თბილისელთა მთავარი მწვრთნელი გავრილ კაჩალინი, როდესაც „დინამოს“ ედგა სათავეში, სიომა ბარქაიას დავალებებს არასოდეს აძლევდა.

ვლადიმერ ბარქაია მშობლიურ გუნდში ორ წელზე მეტ ხანს მუშაობდა მწვრთნელად, შემდეგ, წლების მანძილზე იყო დაბა ლესელიძის პანსიონატ „სპორტის“ დირექტორი, ქალაქ გაგრის საფეხბურთო სკოლის ხელმძღვანელი, ბზიფის მაცივარკომბინატის დირექტორი, მუშაობდა სანატორიუმ „თბილისის“ მთავარი ექიმის მოადგილედ, საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსად და სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. 6 წლის მანძილზე იყო საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის პრეზიდენტი. ვლადიმერ ბარქაიას დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

ცნობილი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, ქართული ფეხბურთის დიდი მოჭირნახულე დემიკო ლოლაძე სიომა ბარქაიას 65 წლის საიუბილეოდ გამოსცემს თავის ახალ წიგნს, რომელიც ქართული ფეხბურთის არისტოკრატს ეძღვნება.

ახლო ურთიერთობა მაკავშირებს ვლადიმერ ბარქაიასთან. იგი მწარედ იგონებს აფხაზეთის ტრაგედიას. ეს არის ყველაზე მძიმე და ავადმოსაგონარი ამ კაცის ცხოვრებაში. სიომა ოცნებობს მშობლიურ გაგრაში მამაპაპისეულ კერაში დაბრუნებაზე...

შარშანწინ მწვავე ინფარქტი გადაიტანა და რეაბილიტაციის კურსიც გაიარა გერმანიის კლინიკაში. ამჟამად თავს უკეთ გრძნობს. ამას წინათ იგი კვლავ გერმანიაში გაემგზავრა თავის ქალიშვილთან. 29 ივლისს ვლადიმერ (სიომა) ბარქაიას დაბადებიდან 65 წელი უსრულდება.

დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ვუსურვებ ჩემს უფროს მეგობარს, ქართული ფეხბურთის დიდოსტატს და არისტოკრატს, პროფესორს, სტრატეგს და ჯენტლმენს, ღირსების ორდენის კავალერს სიომა ბარქაიას თავის ძვირფას, ლამაზ ოჯახთან, ახლობლებთან და მეგობრებთან ერთად.

**ვაჟა ჭიაურელი**



*მოსკოვი, „ტორპედო“ – „დინამო“ (თბ). მარჯვნივ – ვ. ბარქაია*

## ნოდარ ახალკაცის ხსოვნის პაგივსაცემად

*(მესამე გვერდიდან)*

„დინამო“ და „ტორპედო“, წყალტუბოდან — „სამგურალი“, ჭიათურიდან — „მაღაროელი“, ვანიდან — „რუბიკონი“, ზუგდიდის „ოდიში-2001“, „ოლიმპია“, „მაგუ“. ფოთიდან — „კოლხეთი“ და ფაზისი, სენაკიდან — განათლების გუნდი, აჭარის რეგიონიდან ბათუმის „დინამო“.

### ფინალური ეტაპის საბოლოო ცხრილები

პირველი ქვეჯგუფი

| | მ. | ფ.. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი | 4 | 2 | 0 | 10-4 | 14 |
| ფაზისი | 4 | 1 | 1 | 16-4 | 13 |
| ტორპედო | 3 | 2 | 1 | 10-3 | 11 |
| მაღაროელი | 2 | 1 | 3 | 8-14 | 7 |
| დინამო ქუთ. | 2 | 0 | 4 | 6-12 | 6 |
| ოლიმპია | 0 | 0 | 6 | 3-16 | 0 |

მეორე ქვეჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოდიში 2001 | 5 | 0 | 1 | 21-9 | 15 |
| დინამო ბთ | 4 | 0 | 2 | 20-6 | 12 |
| რუბიკონი | 4 | 0 | 2 | 11-13 | 12 |
| მაგუ | 2 | 1 | 3 | 7-12 | 7 |
| სამგურალი | 2 | 1 | 3 | 9-13 | 7 |
| განათლება | 0 | 0 | 6 | 4-18 | 0 |

ნახევარფინალური და ფინალური თამაშები გაიმართა 6 და 11 ივლისს ნეიტრალურ სენაკის „ეგრისის“ სტადიონზე.

ნახევარფინალში „ფაზისმა“ 2-1 დაამარცხა „ოდიში 2001“, ბათუმის „დინამომ“ 3-0 სძლია „კოლხეთს“. მესამე ადგილისათვის მატჩში „ოდიში 2001“-მა დაამარცხა კოლხეთი 3-0. ფინალურ მატჩში კი „ფაზისმა“ 1-0 სძლია ბათუმის „დინამოს“ და თასს დაეუფლა (მწვრთნელები ზაზა ინიაშვილი, მამუკა ბაჯალაძე). გამარჯვებული და პრიზიორი გუნდების ფეხბურთელები და მწვრთნელები დაჯილდოვდნენ.

ბელა ნაჭყებია,
„ლელოს“ საკ. კორესპონდენტი.
ზუგდიდი.

## ზუგდიდში ბავშვთა ფეხბურთის ახალი კერა გაჩნდა

ზუგდიდში ჩამოყალიბდა ცნობილი ფეხბურთელის, საქართველოს ნაკრების წევრის ზაზა ჯანაშიას სახელობის ბავშვთა საფეხბურთო კლუბი, რომელშიც გაერთიანებულია 1992-96 წლებში დაბადებული 120-მდე მოზარდი. მათ გაწვრთნას სათავეში უდგანან წარსულში ცნობილი ფეხბურთელები თამაზ როგავა (ზაზა ჯანაშიას პირველი მწვრთნელი), მალხაზ მალანია და ბორის გუგუჩია. როგორც მათ განაცხადეს, კლუბი ზუგდიდში პირველი საფეხბურთო სკოლის დაარსების საწინდრად იქცევა.

კლუბს სპორტული ინვენტარები საკმაოდ გააჩნია. მწვრთნელების დაფინანსება თავად ზაზა ჯანაშიამ ივალდებულა.

ბელა ნაჭყებია,
„ლელოს“ კორ. სამეგრელოს რეგიონში.

# „ჩვენი ფეხბურთი პროგრესის გზით მიდის“...

**ფეხბურთში განვლილი მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ „გაზეტა რუ“-ს კორესპონდენტს თავის შთაბეჭდილებებს უზიარებს მოსკოვის „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი იური სიომინი.**



„განვლილ ჩემპიონატში, ისე როგორც არასდროს, წარმოდგენილი იყო სხვადასხვა კონტინენტის ფეხბურთის საუკეთესო ნიმუშები და ჩემპიონატიც მათი თვალსაჩინო დემონსტრირების არენად იქცა. ჩემპიონატი ჩატარდა რთულ კლიმატურ პირობებში და ყველა მწვრთნელი დარწმუნდა თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თანამედროვე ფეხბურთში მოთამაშეთა ფუნქციონალური მომზადება.

სამწუხაროდ, საკლუბო ვალდებულებებმა არ მომცეს შესაძლებლობა პირადად ვწვეოდი მსოფლიო საფეხბურთო ფორუმს, არადა, ეს ძალიან სასარგებლო და საჭირო იყო. ჩემი გუნდი მისთვის რთულ პერიოდში ვერ მივატოვე. ამასთან, დარწმუნებული ვარ, ჩემპიონატზე იმდენ მატჩებს ვერ ვნახავდი, რამდენიც ტელევიზიით ვიხილე. ის კი არა, გუნდის მეცადინეობებიც კი ტელეგადაცემებზე ავაწყვეთ.

თუ ვილაპარაკებთ ჩვენი ნაკრების შედეგებზე, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მხრივ ჩემპიონატმა არასასიამოვნო შთაბეჭდილებები დაგვიტოვა.

მე არ ვემხრობი იმათ, ვინც აცხადებს, რომ ჩვენი ფეხბურთი ადგილს ტკეპნის. თუმცა, არა სწრაფად, მაგრამ ჩვენი ფეხბურთი მაინც პროგრესს განიცდის. ნახეთ, ჩვენთან ჩემპიონატის ოთხი ტური ტარდება თვეში. ყოველ მატჩს საშუალოდ ათი ათასობით მაყურებელი ესწრება. საბოლოო ჯამში თვეში გამოდის ასი ათასი მაყურებელი ყოველ ტურზე. ამ ასი ათასმა თითო ბუტერბროდი რომ იყიდოს და ტრანსპორტით იმგზავროს, ეს ხომ დიდი შემოსავალია მომსახურების სფეროსათვის. ახლა ამას პირველი დივიზიონიც დაამატეთ. თუ ოდნავ მეტი ყურადღება იქნება ფეხბურთისადმი, ჩვენში შეიძლება საფეხბურთო ბიზნესიც კი აყვავდეს, იმაზე არანაკლებ, ვიდრე ეს იტალიაში ან ესპანეთში.

ბევრს მიაჩნია, რომ ჩვენი ნაკრების ხსნა უცხოელი მწვრთნელის მოწვევაშია. ასეთი აზრი ჩემში არ იწვევს უკურეაქციას, მაგრამ თავის დროზე გერმანიაში, კრიზისულ სიტუაციაში, სხვაგვარად მოიქცნენ: ეროვნული ფედერაციის სპონსორებმა დიდი თანხა გამოყვეს ჭაბუკთა ფეხბურთის გასანვითარებლად – თუ მეხსიერება არ მღალატობს, 15 მილიონი მარკა ქვეყნის ყველა რეგიონისათვის, მათ შორის, ახალი საფეხბურთო კომპლექსების და მინდვრების მშენებლობისათვის. ყოველ ამ რეგიონში ფედერაციამ დანიშნა მწვრთნელი, რომელიც პროცესებს აკონტროლებდა. ყოველ შაბათს რეგიონალური გუნდების მწვრთნელებთან ტარდებოდა მეთოდური მეცადინეობები. ასე მოვიდნენ ნაკრებში კლოზე, მეტცელდერი, კლუბებში ხომ უამრავი ნიჭიერი ფეხბურთელი აღმოჩნდა. ამ გვარად, გაძლიერდა გერმანიის ნაკრები. მე მგონია, რომ სწორედ ასეთი გზაა პერსპექტიული. გადაუხადო დიდი ხელფასი ნაკრების მწვრთნელს, ჩვენი იქნება ეს თუ უცხოელი, რა თქმა უნდა, აუცილებელია, მაგრამ ვზრუნავთ რა პირამიდის წვერზე არ შეიძლება დავივიწყოთ მისი საფუძველი.

რაც შეეხება ახლახან დანიშნულ ჩვენი ნაკრების უფროს მწვრთნელს. გულწრფელად გეტყვით, დღემდე ვერ გამიგია, როგორ აღმოჩნდა ჩემი კანდიდატურა ნაკრების უფროსი მწვრთნელის პრეტენდენტთა შორის, კოლოსკოვისთვის მე ასეთი თანხმობა არ მიმიცია. ჩემი მხრიდან მინდა გულწრფელად მივულოცო ვალერი გაზაევს და ვუსურვო, რომ არ გაიმეოროს წინამორბედთა შეცდომები. ახლა არ მინდა ქვები ვისროლო რომანცევის ბაღში: მე ყოველთვის დიდად ვაფასებდი და ვაფასებ მას, როგორც საუკეთესო სპეციალისტს, მაგრამ ახლა, ალბათ, დადგა ცვლილებების დრო. და მაინც, არ გვაქვს უფლება რომანცევი დავადანაშაულოთ, რადგან იგი სიტუაციის შესაბამისად მოქმედებდა. რაც შეეხება ნაკრებში ჩვენი გუნდის წევრებს, ისინი ჩემპიონატზე ფიზიკურად შესანიშნავად მომზადებულები გაემგზავრნენ. მხოლოდ პიმენოვმა ითამაშა მოწოდების სიმაღლეზე, როცა ენდნენ. ჩემპიონატისთვის მზად იყო სენიკოვიც, რომელმაც ნორმალურად ითამაშა, როცა ამის შესაძლებლობა მიეცა. იზმაილოვს კი უცნაური ისტორია გადახდა. მისი სათამაშო წონა 68 კგ-ია, ჩემპიონატზე კი 64 კგ-ს იწონიდა და ძალის უკმარობაც შესამჩნევი იყო. ძნელი სათქმელია, სად დაიკარგა ეს ოთხი კილოგრამი. მე ვერაფერს გეტყვით, რადგან ნაკრების წვრთნის რეჟიმის სამზარეულოში არ ჩამიხედავს. იქნებ საჭირო იყო იზმაილოვს ცოტა დაესვენა. იქნებ მიზეზი ისიც იყო, რომ ავადმყოფობის გამო იზმაილოვმა „ლოკომოტივთან“ ერთად იანვარში ვერ გაიარა ძალიან მნიშვნელოვანი მომზადების პირველი ეტაპი, ეს სწორედ ის პერიოდია, როცა საფუძველი ეყრება ფიზიკურ მონაცემებს მთელი სეზონისათვის. არბიტრებზეც გეტყვით. არ შეიძლება ყველა პრობლემა მათი მიზეზით მივჩქმალოთ. არც ერთ მსაჯს არ შეუძლია გააფუჭოს თამაში თუ გუნდი აშკარად ძლიერია. ამასთან, გაცრუებული დავრჩი მსაჯთა დაბალი დონით. მიმაჩნია, რომ ასეთი დონის ტურნირებში მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი მსაჯთა შეცდომები. სხვა საქმეა, რომ მსაჯებიც ადამიანები არიან და მათთვისაც უცხო არაა შეცდომები.

მგონია, რომ ჩემპიონატის მონაწილენი ნერვულ ატმოსფეროში თამაშობდნენ. ის გუნდები, რომელთა შემადგენლობაშიც თამაშობდნენ ევროპის წამყვანი კლუბების ლეგიონერები, განსაკუთრებით ცუდ დღეში აღმოჩნდნენ. ევროტურნირებში მონაწილეობით და ნაკრებში თამაშით მათ თითქმის 60 მატჩის ჩატარება მოუხდათ სეზონში. ასე რომ, ეს საკითხიც მოსაგვარებელია.

საერთო შთაბეჭდილება ჩემპიონატზე?

— ამდენი ულამაზესი სტადიონი მაყურებლებით გადაჭედილი ტრიბუნებით, უნიკალური საყოფაცხოვრებო პირობები, რა თქმა უნდა, შთამბეჭდავია. და ბოლოს, ჩემპიონატი უსაფრთხოების მხრითაც იდეალურად დაცული აღმოჩნდა. პირადად მე ყოველივე ამით გაკვირვებული დავრჩი.

აზიამ, სადაც ჩვენი პლანეტის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს, დაამტკიცა, რომ ძალუძს უნაკლოდ ჩაატაროს უმსხვილესი სპორტული ღონისძიება. და კიდევ, არ დაგავიწყდეთ, რომ ამ ჩემპიონატის წყალობით კიდევ უფრო დაახლოვდნენ ერთმანეთთან იაპონელი და კორეელი ხალხები, რითაც ფეხბურთმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, თუ რა როლის შესრულება შეუძლია თანამედროვე საზოგადოებაში.“

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

## COPA TOYOTA LIBERTADORES 2002

### არგენტინელმა მსაჯმა „ოლიმპია“ ფინალში გაიყვანა



*ოლიმპია — გრემიო*

*დასასრულს უახლოვდება ლიბერტადორესის თასის გათამაშება, რომელსაც სამხრეთ ამერიკაში ფეხბურთის მოყვარულები პრესტიჟულ საკლუბო შეჯიბრებად მიიჩნევენ.*

უკვე გამოვლინდნენ ფინალისტები. პარაგვაის „ოლიმპიამ“ ბრაზილიური „გრემიოს“ დამარცხება მოახერხა და ფინალში გავიდა. პირველი მატჩი პარაგვაელმა ფეხბურთელებმა 3-2 მოიგეს. განმეორებით შეხვედრაში ბრაზილიელებს მინიმუმ ორი უპასუხო ბურთი უნდა გაეტანათ. თუმცა ამოცანა მხოლოდ სანახევროდ შეასრულეს — „გრემიომ“ ერთი გოლის გატანა შეძლო. რეგლამენტის მიხედვით, დაინიშნა დამატებითი დრო, რომელშიც არაფერი შეცვლილა. პენალტების სერიაში კი პარაგვაელებმა იმარჯვეს — 5-4.

მატჩი არც ისე მშვიდ ვითარებაში ჩატარდა, რაშიც დიდი „წვლილი“ მიუძღოდა მსაჯს — არგენტინელ ხიმენესს. ჯერ კიდევ თამაშის ძირითად დროში მან პედრინიოს გოლი არ ჩათვალა. მთავარი მოვლენა პენალტების სერიაში მოხდა. კაბალეროს დარტყმა „გრემიოს“ გოლკიპერმა მარტინიმ მოიგერია, მაგრამ მსაჯმა მიიჩნია, რომ მეკარემ თამაშის წესები დაარღვია და პარაგვაელ ფეხბურთელს თერთმეტმეტრიანი საჯარიმო ხელახლა შეასრულებინა. კაბალერომ ამჯერად შეუცდომლად დაარტყა, ხოლო პოლიციელებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ სტადიონის ტრიბუნებზე წესრიგის დასამყარებლად.

ლიბერტადორესის თასის გათამაშების ფინალში „ოლიმპიას“ მეტოქე კიდევ ერთი ბრაზილიური გუნდი „სან-კაეტანო“ იქნება.

## კოლოსკოვი: სამ წელიწადში რომანცევის შტაბის პრემიალურმა თანხამ 597 ათასი დოლარი შეადგინა



*კოლოსკოვი*

ამის თაობაზე განაცხადა რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა. 597 ათასი დოლარი გაცემულია, როგორც პრემია ნაკრების მწვრთნელებზე და მენეჯერებზე. ამ ფაქტის გამჟღავნებით კოლოსკოვმა უარყო რომანცევის განცხადება თითქოს თავადაც და მისი შტაბიც უსასყიდლოდ მუშაობდნენ.

თავისი სიტყვების გასამყარებლად კოლოსკოვმა ჟურნალისტებს წარუდგინა კონტრაქტები, რომელიც დაიდო საფეხბურთო კავშირსა და ეროვნულ ნაკრებს შორის. კონტრაქტით ბოლო სამ წელიწადში რომანცევს მიღებული აქვს 95 ათას 771 დოლარი, ამას ემატება ფინალურ ეტაპზე გასვლისთვის 20 ათასი დოლარი პრემიალური. ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა გერშკოვიჩმა მიიღო 109 ათას 829 დოლარი, ათი ათასობით დოლარი ხვდათ სერგეი პავლოვს, ალექსანდრ პოლინსკის და ნაზარ პეტროსიანს.

კოლოსკოვი შეეხო აგრეთვე ევროპის 2008 წლის ჩემპიონატისათვის მზადებას. ჩემპიონატის მასპინძლობის მსურველთა შორისაა რუსეთი. 8-13 სექტემბერს უეფას ინსპექტორთა ჯგუფი ეწვევა რუსეთს ამ საკითხთან დაკავშირებით. ემისრები მოინახულებენ რვა ქალაქს, სადაც იგეგმება ევროპის ჩემპიონატის მატჩების ჩატარება.

## მათეუსი — უნგრეთის ნაკრების მწვრთნელი?

გერმანული ფეხბურთის ვარსკვლავი ლოთარ მათეუსი მოლაპარაკებებს მართავს უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციასთან. არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს ხანში მათეუსმა უნგრეთის ნაკრებს უხელმძღვანელოს.

მისივე განცხადებით, მას სხვა საინტერესო წინადადებებიც გააჩნია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათეუსს სამწვრთნელო გამოცდილებაც აქვს. ბოლო პერიოდში ის ვენის „რაპიდს“ ხელმძღვანელობდა.

## მექსიკელები მარსელო ბიელსას იწვევენ

მექსიკის ფეხბურთის ფედერაციამ ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე მოიწვია მარსელო ბიელსა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატზე არგენტინის ნაკრებს ხელმძღვანელობდა. მექსიკელთა ყოფილმა მწვრთნელმა ხავიერ აგირემ ესპანურ კლუბ „ოსასუნას“ მიაშურა.

„ჩვენ ბიელსა გვჭირდება“ — ასეთი მოკლე განცხადება გააკეთა მექსიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ალბერტო დე ლია ტორემ. საინტერესოა, რომ ბიელსა ერთი ხანობა მექსიკურ ახალგაზრდულ კლუბ „ატლასს“ წვრთნიდა.

## „ბირმინგემს“ რომარიო არ სჭირდება

ინგლისურ საფეხბურთო კლუბ „ბირმინგემის“ ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა, მოაწეროს ხელი კონტრაქტს ბრაზილიური ფეხბურთის ვარსკვლავთან რომარიოსთან, რომელიც ინგლისში გადასვლას აპირებდა თავისუფალი ტრანსფერის მეშვეობით.

# საბონისი ბრუნდება



ლეგენდარულმა ლიტველმა კალათბურთელმა არვიდას საბონისმა „ლოს-ანჯელეს ლეიკერსიდან“ მიიღო შეთავაზება სამი წელი ითამაშოს ამ კლუბში ნბა-ს ჩემპიონატში. შეთავაზების ინიციატორია „ლეიკერსის“ მთავარი მწვრთნელი ფილ ჯეკსონი, რომელიც ჩრდილო ამერიკაში ყველაზე წარმატებულ მწვრთნელადაა მიჩნეული და არა მხოლოდ კალათბურთში, არამედ საერთოდ, სპორტში. „ლეიკერსის“ გარდა საბონისით დაინტერესდნენ აგრეთვე მადრიდის „რეალი“ და მალაგის „უნიკახა“, ასეთივე სურვილი გამოავლინა საბონისის მშობლიურმა კაუნასის „ჟალგირისმა“. ასე რომ, დიდი ლიტველის ხელში ჩასაგდებად თავგამოდებული ჰიდილია ოკეანის გაღმა-გამოღმა.

საბონისი ახლა 38 წლისაა. პროფესიული სპორტისთვის, ცხადია, ეს არ არის სპორტსმენის სიჭაბუკის ხანა, მაგრამ არც ხანდაზმული ასაკია. შეგახსენებთ, რომ კარლ მელოუნი, რომელიც 39 წლისაა და ჯონ სტოკტონი, რომელმაც 40-ს გადააბიჯა, წარმატებით თამაშობენ ნბა-ს კლუბებში და კვლავ მზად არიან განაახლონ კონტრაქტები კიდევ დიდი ხნით. მაგრამ საბონისთან დაკავშირებით ცოტა სხვა ვითარებაა. ეს კალათბურთელი მოედანზე ბოლოს გამოვიდა შარშან. განვლილი სეზონი კი მთლიანად გამოტოვა.

# ყოფილი არმიელი ისევ ნბა-შია

ხორვატმა კალათბურთელმა გორდონ გირიჩეკმა, რომელმაც შარშანდელი სეზონი მოსკოვის ცსკა-ში გაატარა, კონტრაქტი გააფორმა ნბა-ს კლუბ „მემფის გრიზლისთან“. „გორდონი ძალიან ათლეტური მცველია, ამასთან, შესანიშნავი სნაიპერიცაა. მას შეუძლია უმალვე გააძლიეროს ჩვენი გუნდის დაცვის ხაზი“ — თქვა გუნდის პრეზიდენტმა ჯერი უესტმა.

25 წლის ხორვატი პირველად 1999 წლის დრაფტის მეორე რაუნდში აირჩია დალასელთა კლუბმა, შემდეგ გაიყიდა ჯერ „სან-ანტონიოში“, ახლა კი „მემფის გრიზლისში“. კონტრაქტის პირობები არ გახმაურებულა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ თავის ახალ გუნდში გირიჩეკი მონაწილეობას მიიღებს ზაფხულის ლიგის თამაშებში, რომელიც ხვალ, 20 ივლისს დაიწყება იუტას შტატში *(სურათზე — გირიჩეკი).*



* **

**ნბა-ს** ვარსკლავმა კობი ბრაიანტმა „ადიდასთან“ კონტრაქტი შეწყვიტა. „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ შემტევი მცველი ამიერიდან სხვადასხვა ფირმის სპორტულ ფეხსაცმელს გამოიყენებს, ვიდრე რომელიმე ფირმასთან გააფორმებს ახალ კონტრაქტს.

# აივერსონი პოლიციას მაინც ჩაბარდა




ნბა-ს ვარსკვლავი ალენ აივერსონი მხილებულია თავდასხმაში იარაღის გამოყენებით. ამას წინათ, ნბა-ს ყველაზე ძვირფასი კალათბურთელი, თავის ბიძასთან ერთად შეიჭრა სიმამრის ბინაში და იარაღის მუქარით შეძლო გაერკვია თუ სად იყო მისი ცოლი, რომელმაც ოჯახში წაკინკლავების შემდეგ კალათბურთელი მიატოვა და შვილიც თან გაიყოლა.

**პროკურორმა ამ სკანდალის გამო** აივერსონს შინაპატიმრობა დაუნიშნა, მაგრამ კალათბურთელმა კანონი დაარღვია და მიიმალა. გუშინწინ კი იგი დანაშაულის აღიარებით პოლიციას თავად ჩაბარდა. ახლა მას უკვე ციხე ემუქრება. გაირკვა, რომ აივერსონისთვის ეს არ არის პირველი შემთხვევა. 1993 წელს თავის გოგოსთან ერთად, წმინდა ვალენტინის დღეს ბარში აღნიშნავდა, სადაც ჩხუბში გაეხვია და ერთ-ერთ ქალიშვილს თავში სკამი ჩაარტყა, რისთვისაც 5 წლით პატიმრობა დაიმსახურა, თუმცა ოთხი თვის შემდეგ ციხე პირობითი სასჯელით შეეცვალა. 1997 წელს ამ კალათბურთელის მანქანაში პოლიციამ პისტოლეტი იპოვნა, თუმცა აქაც იოლად გადარჩა. ახლა? ახლა საქმე შედარებით რთულადაა და ადვოკატებს დიდი ჯაფა დაადგებათ სასურველი განაჩენის მისაღწევად.




ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი სერენა უილიამსი ივნისის საუკეთესო ჩოგბურთელადაა აღიარებული ვტა-ს ვერსიით. სერენასათვის ეს უკვე ზედიზედ ასეთი მესამე აღიარებაა მას შემდეგ, **რაც მან მოიგო მაიამის დიდი ტურნირი, იტალიის ღია ჩემპიონატი და „დიდი სლემის“ ორი ტურნირი, „როლან გაროსი“ და „უიმბლდონი“.** უილიამსებიდან ამ უმცროსმა დამ ამ სეზონის ნახევარშივე დაამყარა ახალი რეკორდი ქალთა ჩოგბურთში, მოიგო რა 36 ორთაბრძოლა 39-დან.

**თუ სავაჭრო ვერ მოახერხეთ, „ლელოს“ შეძენა ნებისმიერ დროს შეგიძლიათ გამომცემლობა „სამშობლოს“ (კოსტავას ქ.14) წინ, გამავრცელებელთან. მიიღება დაკვეთაც.**

**კომპიუტერული ფირმა**

Soft Master-ი გთავაზობთ:

- კომპიუტერული კურსები (სწავლება ინდივიდუალურად)
- **კომპიუტერულიბუღალტერია** ● ბუღალტერია (ბ.ა.ფ.-ის სტანდარტებით)
- **კომპიუტერული ტექნიკა და აქსესუარები**

მისამართი: ჭოველიძის (ბელინსკის) ქ. №2 IV სართ. ტელ. 99-81-71.

# ტრაგედია „ტურ დე ფრანსზე“

ამ ველორბოლის მეათე ეტაპზე, ფინიშამდე 26 კილომეტრი იყო დარჩენილი, როცა გამყოლმა მანქანამ ტრასაზე 7 წლის ბიჭი გაიტანა. პოლიციის განმარტებით, ბავშვმა გადაირბინა გზა, რომლის მეორე მხარეს ბებია ეგულებოდა. სერიოზული ტრავმით მოზარდი უმალვე გადაიყვანეს ვერტმფრენით ბორდომდე, მაგრამ ბავშვი დაიღუპა ვერტმფრენის დაშვებამდე.

რბოლის დირექტორმა ჟან მარი ლებლანმა გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ გზები, სადაც ტარდება რბოლები, სახიფათოა სიცოცხლისათვის. მანვე გულისწყრომით აღნიშნა, რომ გზებზე არაა დამცველი ღობეები, მხოლოდ პოლიციელები დგანან ყოველ 500 მეტრში. მშობლებს განსაკუთრებული ყურადღება მართებთ ბავშვებისადმი.

„ტურ დე ფრანსის“ ისტორიაში ასეთი სამწუხარო შემთხვევა პირველი როდია. 2000 წელს ასეთსავე სიტუაციაში 12 წლის ბავშვი გაიტანა მანქანამ, ანალოგიური შემთხვევა 14 წლის წინათ 1988 წელსაც მოხდა.

**ქ. თბილისის განათლების განყოფილება, ფიზიკური აღზრდის სექტორი, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლები და მათი ხელმძღვანელები ღრმა სამძიმარს უცხადებენ თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ოლიმპიური მომზადების ცენტრის დირექტორს გიორგი უდესიანს მამის**

**გურამ (გუნტურ) უდესიანის**

**გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია ღრმა სამძიმარს უცხადებს ვეტერან მოფარიკავეს, ამავე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, პარლამენტარ ზურაბ ცქიტიშვილს დისა და ძმის**

**ციცინო და ნოდარ ცქიტიშვილების**

**გარდაცვალების გამო.**

**„ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს ზურაბ ცქიტიშვილს დისა და ძმის გარდაცვალების გამო.**

**ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური და თბილისის კრივის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ავტოავარიის შედეგად ტრაგიკულად დაიღუპნენ ვეტერანი მოკრივეები, სპორტის ოსტატები, ძმები**



ავთანდილ და გოდერძი ხორნაულები

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულთა ოჯახებს.**

პანაშვიდი 18,19 VII, 16 სთ; გამოსვენება 20 VII, 14 სთ. მისამართი: სოფ. გლდანი, კობერიძის ქ. 2.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




19 ივლისი, პარასკევი

*საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 22.40), ***НТВ плюс футбол.*** „ფუტბოლ მუნდიალი“ (15.00), ლიბერტადორესის თასი. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი (15.30), ჩემპიონთა ლიგა 2001-2002 წ.წ. (17.15, 21.30). გავიხსენოთ განვლილი სეზონი: ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის (19.20), გერმანიის ჩემპიონატი (23.15). ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი. პრეტენდენტთა ტურნირი დორტმუნდში (11.40, 22.30). ფარიკაობა. ევროპის ჩემპიონატი (12.10), თანამედროვე ხუთჭიდში მსოფლიო ჩემპიონატის დღიური (13.40, 21.20), საცხენოსნო სპორტი (15.10), კიკ-ბოქსინგი (16.20), ტაილანდური კრივი (20.20), მძლეოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება. მონტე-კარლო (23.00). ***EUROSPORT.*** სამთო ველორბოლა. მსოფლიო თასი (12.30), ნიჩბოსნობა. მსოფლიო თასი (13.00), ველორბოლა. „ტურ-დე-ფრანსი“ (14.00, 22.00).

20 ივლისის, შაბათი

*საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი“ (23.40). ***НТВ плюс футбол.*** გავიხსენოთ განვლილი სეზონი: ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. ნახევარფინალი (13.15, 19.20), გერმანიის ჩემპიონატი (15.30), ჩემპიონთა ლიგა 2001-2002 წ.წ. (17.15, 21.20), გავიხსენოთ განვლილი სეზონი (23.05), ლიბერტადორესის თასი. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი (0.50). ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი. პრეტენდენტთა ტურნირი დორტმუნდში (11.40, 23.00). თანამედროვე ხუთჭიდში მსოფლიო ჩემპიონატის დღიური (12.10, 23.30). მძლეოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება. მონტე-კარლო (12.30), საწყლოსნო-სამოტორო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი (16.10). ბილიარდის მეფეები (16.40). ჩოგბურთი. ფედერაციის თასი (17.55), „დიდი რინგი“ (23.50). ***EUROSPORT.*** სამთო ველორბოლა. მსოფლიო თასი (12.30). საცხენოსნო სპორტი. ერთენებათა თასი სამსუნგი (13.00). ველორბოლა. „ტურ-დე-ფრანსი“ (13.00, 14.00, 18.00). საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. საფრანგეთი (21.00, 3.15), „ფორმულა-3000“. საერთაშორისო ჩემპიონატი (22.00), ფეხბურთი (23.00).

21 ივლისი, კვირა

*საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი“ (23.30). *მე-9 არხი.* „მსოფლიო ფეხბურთი“ (19.30). ***НТВ плюс футбол.*** გავიხსენოთ განვლილი სეზონი: ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის (13.15, 19.20). ესპანეთის ჩემპიონატი (15.00), ჩემპიონთა ლიგა 2001-2002 წ.წ. (16.45, 21.35), „ფუტბოლ მუნდიალი“ (18.30), გავიხსენოთ განვლილი სეზონი (23.20), ლიბერტადორესის თასი. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი (1.05), ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი. პრეტენდენტთა ტურნირი დორტმუნდში (11.40, 22.20), წრიული ავტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი სპორტული ავტომანქანებით (12.40), თანამედროვე ხუთჭიდში მსოფლიო ჩემპიონატის დღიური (13.40), ჩოგბურთი. ფედერაციის თასის მე-2 რაუნდი. სლოვაკეთი — საფრანგეთი (17.55), წყალსამოტორო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი (21.30), ტაილანდური კრივი (1.35). ***EUROSPORT.*** „ფორმულა-3000“. საერთაშორისო ჩემპიონატი (11.30), ველორბოლა. „ტურ-დე ფრანსი“ (18.00, 1.00). ფეხბურთი. 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი (21.00), კრივი (3.15).




# კროსვორდი № 55

თარაზულად: 3. მწევრვალი კვაკასიონზე, 7. სიმაღლეზე ხტომაში დგარებს შორის გადებული საგანი, 8. სპორტული ჯილდო, 9. საჩოგბურთო მოედანი, 11. იტალიელი ფეხბურთელი, ნაკრების წევრი, 12. საჭადრაკო „მოედანი“, 14. მთამსვლელობა, ანუ... 17. გერმანიის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელი, 18. სპორტის სათამაშო სახეობა, 19. ქართველი მოჭადრაკე ქალი.

შვეულად: 1. ესპანელი ლეგენდარული ფეხბურთელი, მეკარე, 2. ოლიმპიური „კონსტიტუცია“, 4. ცნობილი ქართველი ძიუდოისტი, 5. კულტურიზმი, ანუ... 6. შვედი მოჭადრაკე ქალის კრამლინგის სახელი, 10. ვეტერანი ბულგარელი ფეხბურთელი, 13. ქართველი ლეგიონერი კალათბურთელი, 15. ქართული ხალხური თამაშობა, 16. წარსულში ცნობილი ამერიკელი პროფესიონალი მოკრივე, 17. მექსიკელი ფეხბურთელი, 1998 წ. მს. ჩემპიონატის მონაწილე.

**კროსვორდი №54. პასუხები**

თარაზულად: 2. შინო, 3. ადამსი, 7. გაჟრინდაშვილი, 9. შუბი, 10. „ვითა“, 12. ფალსტარტი, 13. ლოუ, 17. ოუენი, 20. უგრეხელიძე, 21. ნოა. შვეულად: 1. ნბა, 2. შორტი, 4. დავი, 5. მალდინი, 6. „შარლოტა“, 8. სალტო, 9. და 11. „შარლერუა“ და „ბრიუგე“, 14. ჟუნარი, 15. ჩოხა, 16. კულა, 18. ნენე, 19. რაი.

# საჭადრაკო ამოცანა

ა. გალიცკი. 1905 წ.



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. მფe5 1. ...c6 2. ლh7X.

1. ...მფe7 2. ლh7X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com